საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №222/ნ
2012 წლის 10 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში (სსმ, 126, 01/10/2010, სარეგისტრაციო კოდი: 430030000.22.022.016012) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

,,4. 2015-2016 სასწავლო წლის დაწყებამდე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რომლების მატერიალური რესურსით აღჭურვასაც ახორციელებს სახელმწიფო, არ ვრცელდება ამ დებულების მე-4 მუხლის მოთხოვნები.

5. 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებამდე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რომლების მატერიალური რესურსით აღჭურვასაც ახორციელებს სახელმწიფო, არ ვრცელდება ამ დებულების მე-7 მუხლის მოთხოვნები.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **ხატია დეკანოიძე**